ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის ოქმი N 9

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 **30.08.2024 წელი**

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - **ალექსანდრე ლილუაშვილი.**

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 17 წევრი: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, შოთა გიორგაძე, დავით ხარძეიშვილი, გელა ვარდოსანიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, რამაზ არველაძე, გელა ჩიკვაიძე, ლია დიასამიძე, ლანა გოგოძე, ილია დვალიშვილი, ივანე კორძაძე, შალვა ლორთქიფანიძე, მალხაზ ცერცვაძე, თეონა ადეიშვილი, ეთერი ჭიჭინაძე, თამარ შენგელია.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გელა ღვიტიძე, კობა ტოხვაძე, ბიჭიკო პაიკიძე, სანდრო ხურციძე, გიორგი ტყეშელაშვილი, მაკა ზარნაძე, კობა ძაგნიძე.

,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები (გრიგოლ მატარაძე, ალექსანდრე მჟავანაძე, თორნიკე ერისთავი, დავით კაკაბაძე, ლიზა ტყეშელაშვილი და ნატო დვალი) ბოიკოტს უცხადებენ საკრებულოს მუშაობას და არ ესწრებიან საკრებულო სხდომას.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი - **ტარიელ ბარამიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - **ლუბა გოგოძე.**

მოწვეული სტუმრები:

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14 ^{00} საათზე გახსნილად აცხადებს .

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო-სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ;

მომხს.: ვლადიმერ ჭვალაძე

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა. ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 17

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვლადიმერ ჭვალაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო-სააგიტაციო მასალების განთავსების შესახებ;

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ: საარჩევნო - სააგიტაციო მასალების განთავსება აკრძალულია ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების, სასამართლოს, პოლიციის შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე; დაუშვებელია კენჭისყრის შენობის შესასვლელიდან 25 მეტრის მანძილზე სააგიტაციო მასალის განთავსება, რომელიც ჩამოხსნას/დემონტაჟს/აღებას ექვემდებარება; საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი სააგიტაციო მასალების გამოკვრა და გამოფენა იმ ფორმით, რომ დაცული იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილ(ებ)ით;

საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას საარჩევნო პლაკატი შემდეგი ზომებით: სიგრძე არა უმეტეს 60 სმ, სიგანე არაუმეტეს 42 სმ (A2 ფორმატი);

საარჩევნო სუბიექტის მიერ გასაკრავი პლაკატების მაქსიმალური რაოდენობა ერთ საარჩევნო სუბიექტზე განისაზღვროს 3 ცალით.

მომხსენებელმა ასევე წარმოადგინა 24 საარჩევნო უბანი, სადაც შესაძლებელია საარჩევნო - სააგიტაციო მასალების განთავსება

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 17

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო-სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ;

განკარგულება N გ-65.6524243001

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.